P1/3ა12912
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
Библиотека

№ 210 ოქტომბერი 1, პარასკევი 1893 ოქტომბერი 1, პარასკევი № 210

ივერია

სა-პოლიტიკო და სა-ლიტერატურო გაზეთი

1877—1893 1877—1893

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 3 ოქტომბერს

მელანია გიორგის ასული წილოსანისა სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთ, ბობრძანდნენ განსვენებულის პოლკოვნიკის **ნიკოლოზ იოსების ძის წილოსანის** 6 თთვის წირვა და პანაშვიდზედ, ვერაზედ, შაბათს 2 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ.

(1—982—1)

ჟურნალ „**მოამბეს**“ განცხადება იხილე მეოთხე გვერდზე.

1148

ტფილისი, 30 სექტემბერი

სამის დღის წინად ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი, რომ ავსტრიის პროვინციის ტიროლში მცხოვრებთ იტალიელთ მიართვეს თავის იმპერატორს თხოვნა: კეთილ-ინებეთ და მოგვანიჭეთ თვით-მმართველობა, ეროვნული ადმინისტრაცია და მიეცით ჩვენს სამშობლოს, იტალიელ ენას, ჯეროვანი უფლებაო. გაზეთები ამბობენ, რომ იმპერატორმა ფრანც-იოსებმა თანაგრძნობით მოისმინა იტალიელთა თხოვნა და აღუთქვა, განვიხილავთ და შეძლებისამებრ თქვენს სურვილს დავაკმაყოფილებთო.

შესაძლებელია, ავსტრიის მთავრობამ, ჯერ-ჯერობით, სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო სისრულით ვერ დააკმაყოფილოს თავის ქვეშევრდომ იტალიელთა თხოვნა, მაგრამ ისიც კარგი ნიშანია, რომ იმპერატორმა დიდის ყურადღებით და სიამოვნებით მოისმინა ხალხის კანონიერი სათხოვარი.

ეროვნული პრინციპი, აზრი თვით-მართველობისა ევროპაში დღითი-დღე ფეხს იკიდებს და მკვიდრ ნიადაგს იჭერს. ადვილი მისახვედრია, რომ ერი, რაც უნდა მცირე იყოს, თუ-კი მდიდარი წარსული ჰქონია, ჰქონია და აქვს ეროვნული ლიტერატურა და სიტყვიერება, თავის თავს უფრო გონიერად და ერთგულად მოუვლის, უფრო ფხიზლად გაირჯება, ვიდრე შორიდან მოსული, მიჩენილი მოხელე, რომელმაც არც ზნე იცის და არც ჩვეულება მის მზრუნველობის ქვეშ მყოფ ხალხისა. ასეთს მოხელეს ძვირად შესტკივა გული უცხო ტომისათვის, რომელთანაც საერთო არაფერი აქვს არც წარსულში და არც აწმყოში.

ამას გარდა ერი, სხვის ზრუნვასა და ლალაობას მიჩვეული, იჩაგრება, გონება უჩლუნგდება, სულით-ხორცით ეშვება, ფასი ეკარგება და საერთო ისტორიის სალაროში თავის წვლილი ვეღარ შეაქვს. თვით-მმართველობას მოკლებული ერის თავ-მოყვარეობა დიდად ილახება ასეთის წეს-წყობილებით და ამისათვისაცაა, რომ მთელ მეცხრამეტე საუკუნის ისტორია ევროპაში წარმოადგენს დაჩაგრულ პატარა ერთა განუწყვეტელ ბრძოლას განთავისუფლებისათვის. მოიგონეთ სერბია, ბოლგარია, ჩეხია, პოლონია, ირლანდია და დარწმუნდებით, რომ ზემოდ ნათქვამი ჭეშმარიტებას არ არის მოკლებული.

უფრო საყურადღებოა შოტლანდიის ისტორია. შოტლანდიელებს არაფერი აკლიათ, ყველა უფლება აქვთ მინიჭებული, რაც ინგლისის მოქალაქემ მოიპოვა ხანგრძლივის და მედგარის ბრძოლის შემდეგ. მაგრამ შოტლანდიელი მაინც ამას არა ჰჯერდება და თვით-მმართველობას თხოულობს: ჩემს შინაურ საქმეში სხვა რად უნდა ერეოდესო; ჩემს საქმეს, ავია, თუ კარგი, მევე ვუპატრონებო. აქ საყურადღებო და სამაგალითო ისაა, რომ ასეთ სურვილს ერისას მთავრობა წინ-კი არ ეღობება,—ხელს უმართავს. ამ დღეებში „დიდებულმა მხნე მოხუცმა“ გლადსტონმა სიტყვა წარმოსთქვა შოტლანდიელ სატახტო ქალაქ ედინბურგში და განაცხადა, თქვენის სურვილის აღსრულებას მარტო ირლანდიის აწეწილ-დაწეწილ საქმის დაუბოლოვება უშლის ხელსაო. ლორდთა პალატას რომ შეეწყნარებინა ირლანდიის ბილლი, მაშინ პარლამენტი თქვენთვისა და ვალისისათვისაც მოიცლიდაო.

აქედან ცხადადა სჩანს, რომ შოტლანდიასა და ვალისში თვით-მმართველობის შემოღებას ჩვენვე მოვესწრებით და საშვილისშვილოდ აღარ გადაიდება ეს დიდი საქმე.

საფიქრებელია, რომ ტიროლში მცხოვრებ იტალიელთაც მალე შეუსრულდებათ სურვილი, რადგან დრო მეტის-მეტად ხელს უწყობს. ავსტრია მეგობარია იტალიისა და, საგულისხმოა, არ მოინდომებს გული ატკინოს იტალიელთ. მეორე უფრო ძლიერს ხელის შემწყობი გარემოება ისაა, რომ ტააფეს სამინისტრომ პარლამენტის დაუკითხავად საბრთხილო წესი შემოიღო ჩეხიაში. დაიწყება თუ არა პარლამენტის სესსია, ასტყდება ლაპარაკი ჩეხის შესახებ, ასეთის განსხვავებულის ღონისძიების მიღებისა გამო. გაზეთებმა წინდა-წინვე ლაპარაკი გააბეს, როგორ შეიძლება ასეთ სხვა-და-სხვა ეროვნობისაგან შემდგარ სახელმწიფოში, როგორიც ავსტრია არის, გაბატონდეს ერთი ენა და სხვებსკი არსებობის კარი დაეკეტოსო.

თუ ტააფე დამარცხდა ამ შემოდგომაზე, ავსტრიის სახელმწიფო სფერას ახალი სიო დაჰბერავს და მაშინ ტიროლის იტალიელთაც ადვილად აუსრულდებათ სურვილი.

ისკანდერ

◆◆

ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

28 და 29 სექტემბერს მიხეილის საავადმყოფოში ხოლერიანი არავინ არ მოუყვანიათ და არც ვინმე გარდაცვლილა და მორჩენილა, ასე რომ გუშინ დილით ამ საავადმყოფოში სულ ორი ხოლერით ავადმყოფი იყო.

ტფილისის სამხედრო საავადმყოფოში სექტემბრის 29-ს მიიყვანეს 1 ხოლერიანი, მეეტლეს ცოლი, ნავთლუღში მცხოვრები. ამ საავადმყოფოში ამის მეტი ხოლერით ავადმყოფი არავინ არ არის.

ტფილისის გუბერნია

ტფილისის მაზრის სოფ. მარტყოფში სექტემბრის 20—22-დე ხოლერის მსგავსის ავადმყოფობით გარდაიცვალა ოთხი კაცი.

ბაქოს გუბერნია

ბაქო'ში 24-ს სექტემბერს ხოლერით ავად გახდა 1; 25-ს კიდევ გახდა ავად 3, გარდაიცვალა 1ც სექტ. 26-ს დილით ამ ქალაქში სულ სამი ავადმყოფი იყო. ამ დღეს კიდევ ავად გახდა 2 და გარდაიცვალა ორი.

ერევნის გუბერნია

სოფ. ელენოვკაში 25-ს სექტემბერს 2 ავადმყოფი იყო, ამათგან ერთი გარდაიცვალა. ამ დღეს კიდევ ერთი გახდა ავად და 26-ს დილით ამ სოფელში სულ 2 ხოლერით ავადმყოფი იყო.

სტავროპოლის გუბერნია

სტავროპოლის გუბერნიის სოფლებში ხოლერა გაჩნდა. სექტემბრის 15-დამ 25-დე ამ გუბერნიაში ავად გახდა 12 კაცი, რომელთაგან 7 გარდაიცვალა, 1 მორჩა და 4 ავადმყოფი დარჩა.

დაღესტანი

ჩირ-იურტში სექტემბრის 25-ს ერთი ჯარის-კაცი გახდა ხოლერით ავად.

უცხოეთი

შინაგან საქმეთა მინისტრი დეპეშით იუწყება, რომ ქალაქ ლივორნოში (იტალია) და სპარსეთის ორ პროვინციაში—გილიან და ადერბეჯანში—ხოლერა გაჩნდაო.

◆◆

ახალი ამბავი

⁂ თელავში გავრცელდა ხმა, ვითომ ბ-ნს ასტაფიევს, რომელმაც ამ ხუთის წლის წინად შეიძინა მამული გაღმა-მხარეს, სოფ. სანიორეში, განუზრახავს თავის მამულის გაყიდვა. ბ-ნი ასტაფიევი შარშან სწერდა გაზ. Вѣстн. Винодѣліе-ში, რომ ჩემი მამული დიდს შემოსავალს მაძლევსო. წელს კიდევ Землед. Газета-ში იყო დაბეჭდილი მისივე წერილი: ურჩევდა რუსეთის ფულიან ხალხს, მოდით, გამოეშურენით, აქ იაფად მამულს იყიდით, ოქროს მამულს და ბევრსაც მოიგებთ, რადგან მალე რკინის გზა უნდა გამოიყვანონ აქეთაო. თუ ეხლა იაფია აქეთ მამული, მალე გაძვირდებაო.

ნეტავ ვიცოდეთ, თუ მართლა დიდს შემოსავალს აძლევს მამული ბ-ნს ასტაფიევს, რაღად უნდა ჰყიდდეს?!

⁂ გაზეთ Русск. Жизнь-ს გაუგონია, რომ უკვე შემუშავებულია პროექტი სახელმწიფო ქონებათა გამგეობის ცვლილებისა კავკასიაში. რადგანაც მამულის მფლობელობა აქ მრავალ-გვარია და გამოურკვეველი, არ არის განსაზღრული და მოწყობილი საგლეხო მამულები და სხ., ამისათვის კავკასიის მამულების მართვა-გამგეობა უნდა ჩაბარდეს შვიდს სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს. კავკასიის ტყეები 77 ნაწილად განიყოფა და თვითოეული განსაკუთრებულ ტყის მცველს ჩაჰბარდება. 25 პირველ ხარისხისა იქმნება, 30 მეორისა და 22 მესამისა. თითო ნაწილში 72,000 დესეტინა ტყე იქნება და თითო ტყის მცველს შეხვდება 2,800 დესეტინა. ტყის მზვერავს ექმნება ჯამაგირი 2,200 მან. წელიწადში გზის ფულიანად. ტყის მეთვალყურეს ჯამაგირი იმაზედ მეტი ექმნება, რაც შიდა-რუსეთში ეძლევათ, რადგანაც აქ სამსახური უფრო ძნელია. მამულის მფლობელობისა და

ფელეტონი

ზეგანი

ზეგანს აღმოსავლეთით უძევს ხეხაძირის ხეობა და არტაანის მთები, საიდგანაც ყარსის საგუბერნატორო იწყება, დასავლეთით—ფოცხოვი და ქვაბლიანი, სამხრეთით—ლივანა, არდანუჯ-შავშეთ-იმერხევი და ჩრდილოეთით—შავი ზღვა, ბათუმ-ქობულეთი და ჩაქვის მთები. ზეგანის ხეობასვე ეკუთვნიან შემდეგნი დიდნი ხეობანი: ხეხაძირისა, სხალტისა, გირატისა, ტბეთისა, ღორჯომისა, ხულისა, ქვანისა, ბეღლეთისა, ნენია ფურტიოსი, ალმისა, ფუშრუკაულისა და შუა ხევისა, სადაც თავდება ზეგანის ადგილები და მერე აჭარა იწყება. ზეგანი კარგა დიდი მხარეა: სიგძის 60 ვერსზე მეტი იქნება და სიგანითაც ამდენივე. ძველად ამ ადგილებს ზეგანი ეწოდებოდა, თუმცა ვახუშტს ამის შესახებ ძლიერ ცოტა ცნობები აქვს და ზეგანის სახელს მხოლოდ ერთხელ ახსენებს. დღეს ზოგიერთნი ამ ადგილებს ზედაქარას უწოდებენ. თვით აქ მოსახლენი-კი—ზეგანს. აქაურ კაცს რომ ჰკითხოთ: სადაური ხარ, ძმობილო? ის მაშინათვე მოგიგებს: ზეგნელიო. შენ რომ უთხრა, მაგ ადგილებს აჭარას ეძახიან და შენ ზეგანს რად ამბობ? იგი იტყვის: არა, ბატონო, ჩვენ ზეგნელი გახლავართ; ზეგანი სხვა არის და აჭარა სხვა; ზეგნელი კაცი აჭარელი როგორ იქნებაო. ეს ზედა და ქვედა აჭარის ხმარება თათრების დროს შემოსულა.

მთელს სამცხე-საათაბაგოში ყველაზედ უკეთესი მხარე ზეგანია: საუკეთესო ჰავა, ტყეები, წყალი და სხვა. არა მგონია, რომ ზეგანს, მურღულის გარდა, სხვა რომელიმე ადგილი შეედაროს.

ზეგანი იწყება ხეხაძირის და სხალტის ხეობით, რომლებიც სავსეა გაუჩეხავის ხეებით. სხვათა შორის ბზაც მრავალია. აქეთ ნაძვის ხეები სულ გაფისულია. ნავენახარი ადგილები ძლიერ ბევრია და ყველა ესენი დღეს ტყით არიან შებურულნი. ეს ადგილები მთელის ზაფხულობით ქურთებს აქვთ დაჭერილი და აქ საქონელს აძოვებენ. ამ ბოლოს დროს აქეთ თუშ-ფშავ-ხევსურებმაც დაიწყეს მოგზაურობა და ესენიც მოერეკებიან დიდძალ ცხვარსა და ძროხას. ესენი პატარა კვალში ჩაუდგნენ ქურთებს, თორემ თქვენი მტერი, რაც ამ ქურთებისაგან იყო აქაურობა გამხდარი. აქ ქურთები ნამდვილი ქურდები იყვნენ და არიან კიდევაც. პირველ ხანებში ამათგან მოსვენება არ ჰქონდა ზეგნელ ხალხს, ეხლა-კი, რაც თუშ-ფშავ-ხევსურებმა იწყეს აქეთ სიარული, ყველა ამაებმა იკლეს. სანატრელი იქნება და მასთანავე ყველასათვის სასარგებლოც, რომ თუშების ერთი ნაწილი ბარემ აქეთვე გადმოსახლებულიყო და აქ დაბინავებულიყო. ამ ადგილებში ნაძოვარ საქონლის ნახვა კაცს დიდ სიამოვნებას მოჰგვრის. ბალახი ორ არშინზე მეტი იცის, ნამეტურ არდაგანის მაღალს ტიტველა მთებზე. რძე, ერბო, ყველი, კარაქი და სხვანი შესანიშნავია აქ. ზეგნელნი ამაში ძლიერ დახელოვნებულნი არიან. აქ ისეთს „სმეტანს“ აკეთებენ, რომ ტფილისის ნემცების გაკეთებული ამათთან ვერაფრად გამოჩნდება. ძველად ესენი ძალიან მისდევდნენ პირუტყვის მოშენებას; დღეს-კი იმდენი ჰყავთ, რაც ამათ ოჯახისთვის არის საჭირო, რისა გამო ამოდენა მშვენიერი ადგილები ყოველთვის ცალიერი რჩებოდა და ქურთების სამსხვერპლოდ. სიმინდის თესვა და მოყვანა აქ ისე

210—234

საზღვრების გამოურკვევლობისა გამო რომ მოისპოს მრავალი დავა კერძო კაცთა და ხაზინისა, გარდაწყვეტილია დაჩქარდეს გამიჯვნა სახელმწიფო მამულებისა. სამმართველოებს საკუთარი ვექილი ეყოლებათ, რომ სასამართლოებში აწარმოვონ საქმე.

⁂ შინდისი (ქარელი): დღეს, 26 სექტემბერს, შინდისის საზოგადოებამაც, რომელშიაც ცამეტი სოფელი ირიცხება, ათასის მეკომურით, აირჩია ახალი მოხელენი. ყრილობას ხალხი ბლომად დაესწრო. მამასახლისად არჩეულ იქმნა ი. დ. მაჭავარიანი, აზნაური და ნასწავლი კაცი. კანდიდატად არჩეულ იქმნა დ. დავითაშვილი, ესეც ნასწავლი. სუდიებად სამი გლეხთაგანი აირჩიეს, ქვემო-ნიქოზელი, შინდელი და ვარიანელი; აგრეთვე ყველა სოფლიდამ—თითო მამასახლისის თანაშემწე. ჯამაგირად მამასახლისს კომლზე მანათ-ნახევარი დაუნიშნა ხალხმა თავის სურვილით.

⁂ ბარის ოსები: აქეთ წლევანდელი წელიწადი, თუ არ უარესი, არაფრით უკეთესია შარშანდელზედ. შარშან, როგორც მოგეხსენებათ, აქეთაც მძვინვარებდა ხოლერა. ხოლერა, რასაცა ხოცდა სვხა იყო და დანარჩენთ შიშის ზარით ზაფრანისფერი-ღა ედოთ, ვილას ახსოვდა თიბვა, მკა და სხვა მუშაობა... წელს, ხოლერას აღარ უჩენია თავი აქეთ, მაგრამ, მართალი უნდა მოგახსენოთ, ორი ხოლერის-ოდენა ზარალი მოუტანა ბარის ოსეთს წითელამ და ყელ-ჭირებამ. თითო სოფელში, დღეში ოთხი-ხუთი ყმაწვილი ხდება მსხვერპლი ამ სენისა. რომელ სოფელშიაც ოცი და ოცდაათი იმსხერპლა შარშან ხოლერამ, წელს ამ სენით ოთხმოც-და-ათი, ასი გარდაიცვალა. ამის მიზეზით წელსაც შარშანდელზედ უფრო გზას იქით გადავარდნილი არი საბრალო ხალხი და მომეტებული წილი წლის მოსავალი გაუუბარაქავდათ ბარის ოსებში. სიმინდების მტვრევა ეხლა ძლივს-ღა დაიწყეს.

⁂ კავკავი: კავკავის ახალმა ეპისკოპოსმა ყოვლად სამღვდელო ვლადიმირმა გამოსცა ბრძანება, რომელშიაც არის ნათქვამი: კავკავის ეპარქიის ეკკლესიის მოსამსახურე პირს ნება აღარა ჰქონდეთ ოც-და ხუთს ვერსსზედ შორს უმოწმობოდ განშორდეს თავისს სამრევლოს. ეკკლესიის მოსამსახურეთ უნდა ყოველთვის მოწმობა აიღონ ბლაღოჩინისაგან; ვინც კავკავში ავა, ის უნდა გამოცხადდეს ეპისკოპოსის კანცელარიაში და ჩააწერინოს დავთარში თავისი ვინაობა, აგრეთვე სად არის ჩამომხტარი და რამდენი დღე უნდა დარჩეს კავკავში. როცა დაბრუნდება შინ, მაშინაც კანცელარიაში უნდა გამოაცხადოს, შინ მივდივარო და სხვა.

ამ ჟამად კავკავში წითელა მძვინვარებს და ძლიერ ზარალსაც იძლევა ეს სენი.

⁂ ვერის ხიდის აღმართში, ბ-ნ ყორღანოვის ბაღთან ერთი ძველი შენობა სდგას, რომლის საძირკველი სჩანს, ასე რომ შენობა დღე-დღეზედ გადმოინგრევა.

საჭიროა ყურადღება მიაქციონ, ვისიც ჯერ არს.

⁂ სოფ. ზაყა (კავკავის მაზრა): ზაყის სამრევლოში სცხოვრებენ შემდეგნი ღრმად მოხუცებულნი: 1, კალა კესაევი 110 წლისა, გონება კარგი აქვს და კარგად საქმობს; თვალთ ცოტა აკლია. 2, გიგითა კესაევისა, 109 წლისა; 3, ყიყო კესაევი 115 წლისა; 4, ბადი ქალოევი 120 წლისა. ამ უკანასკნელთ მხედველობაც კარგი აქვთ და საქმესაც კარგად აკეთებენ.

⁂ სოფ. ბათაყო (კავკავის მაზრა): აქ საქონლის ჭირმა იჩინა თავი და ამიტომ ისევ კარანტინები შეკრეს სოფლის მიჯნებზედ.

დამაკვირდი

ბედი ხანდისხან მეტის-მეტს იძლევა, საკმაოს-კი არას დროს.

პუბლილიუსი.

**

მითხარი რა იყავი, გეტყვი რა იქნები.

კონფუცი

**

ერთნაირად მოსარიდებელია შერიგებული მტერი და ფულით ნაყიდი მეგობარი.

ხალხური ლექსი

(მეთვალყურეს-მიერ ჩაწერილი)

კაცი ამ ქვეყნად დევნილი
ყველგან იშოვნის ბინასო.
უჯობს არაფერს შეუდრკეს
გული უგავდეს რკინასო.

შემოწირულობა

—

ბ-ნ ილარიონ ანდრიას ძეს მატარაძეს შეუწირავს ერთი თუმანი ქუთაისის წმ. გიორგის ეკკლესიასთან დასაარსებელ სამრევლო სკოლის სახლის ასაშენებლად. ამ ფულისა ყოფილა შეგროვილი და შეტანილი კასაში 313 მ. 40 კ. („ივერია“ № 158). ახლა ამ ფულიანად არის 323 მ. 40 კ.

ქუთაისის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ნესტორ ყუბანეიშვილი მადლობას უცხადებს შემომწირველს.

—

მოხისის სკოლისათვის (ქართლში) შეუწირავთ: თავად ლევან ამირაჯიბს 5 მ., ილია კვალიაშვილს 3 მ., ელისე კვალიაშვილს 2 მ., სიკო ამირაჯიბს 1 მ., სოლო ლუქუნიძეს 50 კ., ჩიტო ტურიაშვილს 60 კ., ივანე ჩუტკერიაშვილს 50 კ., პავლე ქესანაშვილს 50 კ., ვასო უროტაძეს 20 კ., სულ 13 მ. და 30 კ. ეს ფული უნდა მოხმარდეს სკოლას გასაუმჯობესებლად.

მზრუნველი სკოლისა აზნ. ილია კვალიაშვილი ყველას მადლობას უცხადებს.

დრამატიულ საზოგადოების წლიურ კრებაზე

(წერილი რედაქციას)

დღევანდელ „ივერიის“ 30 სექტემბრის ნომერში ახალ ამბებში პატარა შენიშვნაა:

> „ჩვენის დრამატიულის კომიტეტის საზოგადო კრება, ვერ იქნა, ვერაფრით ვერ შესდგა, თუმცა კომიტეტმა ისიც-კი გამოაცხადა, რომ ხელ-მეორედ კრებას ვნიშნავთ სამშაბათისთვის, 27 სექტემბრისთვის და რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს, კრება შესდგებაო. როგორც შევიტყეთ, ეს კრება კომიტეტის-მიერ კვლავ გადადებულ იქმნა მომავალის კვირისათვის, რადგან თვით კომიტეტის წევრების მეტი არავინ გამოცხადებულა დანიშნულ ვადაზედ“ და სხვ...

როგორც მდივანს და წევრს ქართველთ დრამატიულის საზოგადოების მმართველობისას, ვალად მიმაჩნია მოვახსენო „ივერიის“ რედაქციას შემდეგი:

1, რედაქციას სრულებით შეცდომით შეუტყვია, ვითომც არსებობდეს რაღაც „ჩვენი დრამატიული კომიტეტი“. არსებობს ჩვენში ქართველთ დრამატიული საზოგადოება, რომელსაცა ჰყავს ამორჩეული კაცები საქმეების გამგებლად და ეწოდება „მმართველობა“ (და არა კომიტეტი). ამ წერილთან რედაქციისთვის მომირთმევია წესდება დრამატიულ საზოგადოებისა, რომ გაიცნოს რუსულის ტექსტით ამ საზოგადოების ვითარება.

2, მმართველობის კრება (თქვენგან წოდებული კომიტეტის კრებად) ვითომც ვერაფრით ვერ შესდგაო, ნამდვილი არ არის. მმართველობას შარშან 12 აპრილიდამ, რომელ რიცხვიდამაც შედგენილია წლის ანგარიში, დეკემბრის გასვლამდე ჰქონდა ოცდა-ორი კრება, სხდომა (засѣданія); წელს იანვრიდამ დღევანდლამდე ჰქონდა ოც-და-რვა სხდომა.

3, 28 და არა 27 სექტემბერს, სამშაბათს, დანიშნული იყო საზოგადოების წევრთა (და არა რაღაცა კომიტეტის) საერთო ყრილობა, საზოგადო კრება, რომელიც წელიწადში ერთხელ, სექტემბერში, უნდა მოხდეს წესდების საფუძვლით წლიურ ანგარიშის განსახილველად. სამშაბათს კრება შესდგა და ნამდვილი არ მოუხსენებიათ რედაქციისათვის, ვითომ არ შესდგაო. კრებაზე ამორჩეულ იქმნენ ახალნი წევრნი, წაკითხულ იქმნა წლიური ანგარიშები, წაკითხულ იქმნა სავარაუდო აღრიცხვა მომავალის წლის შემოსავალ-გასავლისა. ხოლო მათი განხილვა გადიდო კვირისათვის, რომელიც იქმნება განგრძობა სამშაბათის სხდომისა.

4) მმართველობის (თქვენგან წოდებულის თვით კომიტეტის) წევრებ გარდა, საზოგადოების წევრებიც იყვნენ კრებაზე. სხდომის დაწყების დროს სულ 12 წევრი; შემდეგ კიდევ მოემატნენ.

5) საფუძვლიანი საყვედურია, რომ საზოგადოების წევრთ მიმართავთ და ჰკითხავთ: რას უნდა მიეწეროს ასეთი საქციელი (მოუსვლელობა კრების სხდომაზე): ჩვეულებრივს გულგრილობას და დაუდევრობას, თუ სხვა რამ მიზეზსა?“ სხვა მიზეზს, მე არ ვიცი, რასმეს თუ შორის-შორიდამ გამოვძებნით, თორემ ვგონებ უფრო ახლო მიზეზი ჩვენი გულგრილობა და დაუდევრობა უნდა იყოს.

თქვენი პატივისმცემელი პეტრე უმიკაშვილი

ტფილისი, 30 სექტემბერს 1893 წ.

კორესპონდენცია

—

სოფ. ბორჩხა, 24-ს სექტემბერს. საზოგადოდ ბათუმისა და ართვინის ოლქის მცხოვრებთ, ქართველ მაჰმადიანებს, ჩვეულებადა აქვთ: ვისაც-კი თხა-ცხვარი ჰყავთ, ზამთრისთვის იმათ გამოსაკვებად დაიმზადონ ნეკერი (მუხის შტოები ფოთლებიანად). თუ გინდ ბევრი თივა-ჩალაც ჰქონდეთ, მაინც ნეკერი თუ არ დაიმზადეს, არ შეიძლება, რადგან აქ დიდი ზამთარი იცის. ზამთარში ამ ფოთლებიან მუხის შტოებს ალბობენ ცხელ წყალში და ისე აჭმევენ საქონელს. შემოდგომა დადგება თუ არა, მაშინვე შეუდგებიან ნეკერის ჭრას. ვისაც ბევრი საქონელი ჰყავს, „ნადსაც“ მოიხმარს, მაგრამ აქ იშვიათია ისეთი შეძლებული კაცი, რომ დიდი საქონელი ჰყავდეს და „ნადის“ მოხმარება იყოს მისთვის საჭირო. მუხის ხეები სოფლელთ გაყოფილი და დაჩემებული აქვთ თავ-თავისთვის, ისე, როგორც ხეხილი. ერთს არ შაუძლია მეორის მუხას ახლოს ხელი, თუ გინდ იმას არა ჰყავდეს საქონელი, სინამდის ნამდვილ პატრონისაგან ნებას არ აიღებს. ვისაც რომ საქონელი ცოტა ჰყავს და სანეკრე ხე ბევრი აქვს, ის ჰყიდის იმაზე, ვისაც უფრო სჭირია, ასე რომ ათ შაურიდგან მანათამდისაც შეიძლება გაიყიდოს ერთის მუხის ნეკერი, თუ ხე დიდია; მომეტებული ფასი მაშინ აქვს, როცა სამყოფი თივა და ჩალა არ მოვა. მუხის შტოებიც სამ წელიწადში ერთხელ „ირცხლება“, რადგან ერთსა და ორ წელს იმდენად ვერ გაიზდება შტოები, რომ მოჭრად ეღიროს.

აქაურნი ძალიან შეშინებულნი არიან, ვაი თუ მცველებმა დაგვიშალონ ფოთოლის მოჭრა და მაშინ ცხოვრება გაგვიჭირდება, რადგან უიმისოდ საქონლის გამოკვება მოუხერხებელი არისო. საქონლის გამოსაკვებად ეს ფოთოლი აუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ არა თუ ძროხა-ხარისა, ცხენისათვისაც-კი. წელს მეტადრე ამ ფოთლის იმედი აქვთ, რადგან სიმინდი ისე დაწვა გვალვამ, რომ იმისი ღერო ნახევარ არშინს არ ასცდენია. დიდი ღვთის წყალობა იქნება, რომ ათს მოსახლეში ერთს მოუვიდეს ორის თვის სამყოფი ჩალა და თივა. მერე ზამთარიც ძალიან დიდი იცის, ასე რომ ხუთი თვე საქონელი შინ უნდა ებას. დღეს მთელი სოფელი—ქალი თუ კაცი ტყეშია მოფენილი და ნეკერსა სჭრის. კარგია კიდევ, რომ რაღაც იღბალია, დარიც ხელს უწყობს და თუ მთელმა ზაფხულმა უწვიმოდ გაიარა, შემოდგომამაც იმას მიჰბაძა. არა თუ მუხის ფოთოლს, ანწლსაც-კი სჭრიან ძირში და მოაქვთ სახლში გასახმობად: თუ ძალიან გაგვიჭირდა, ამასაც ვაჭმევთ საქონელსაო.

ერთ სოფელში ამას წინად კაი ლაზათიანი ჩხუბიც მოსვლოდათ ნეკერის დამზადების დროს. ცილობა მოსვლოდათ ერთ მუხის გამო: ერთს ეთქვა—ჩემიაო, მეორესაც—ასევე და კარქად მიეტყეპათ ერთმანეთი. კიდევ კარგი, რომ იქვე ახლოს „მუხთარი“ (მამასახლისი) ყოფილიყო და ჩქარა მიჰშველებოდა, თორემ თქვენი მტერი სიკვდილით დაბოლოვდებოდა იმათი ჩხუბი მუხის ფოთლის გამო.

საქონლის გამოსაკვები რომ არა აქვთ სამყოფი, საქონელი გაიაფდა: 8 და 10 მანათად კაი ძროხა იყიდება, და ხარიც თოთხმეტ-თუთხმეტ მანათად. ფუხარას ურჩევნია ისევ ამ თავითვე მოიშოროს საქონელი, რომლის გამოკვება არ შეუძლიან, ვინემ

იციან, როგორც სხვა აქაურს ადგილებში. პურის მოყვანა ძველებურად იციან, უფრო ჯავახურად. სიმინდს მაღალ ადგილებზე სთესვენ და პურს უფრო დაბლობ ადგილებში. აქეთ სიმინდის ტაროები პატარა იცის, მაგრამ ტკბილი; პური მამხობლიანია. ძველებურად პურის ცხობა და თონეები დაჰვიწყებიათ. პურს კეცით აცხობენ. კალო, საბძელი, განიავება, ლეწვა და სხვანიც ისე იციან, როგორც ჯავახეთში. სახლები აქეთ ზოგს ქვითკირისა აქვს და ზოგს ხისა, ყველას ორი ან სამი პატარა ოთახი; უამისობა არ შეიძლება. ამას ამათი სჯულიც თხოულობს: რაც გინდ ღარიბი კაცი იყოს, მას ქალების ოთახი მაინც ცალკე უნდა ჰქონდეს, სასტუმრო ცალკე და შინაურ მამაკაცებისთვის ცალკე. სახლი და ეზოები საყოველთაოდ სუფთად აქვთ შენახული. სახლებს ზოგს კრამიტი ხურავს, ზოგს ყავარი და ზოგს ფიცარი. ბევრ ალაგას ორ-სართულიანი სახლებიც არის. კრამიტის გარდა თიხის ჭურჭელსაც აკეთებენ.

ქალებიც მისდევენ მუშაობას, ცოტა უფრო მეტად, ვინემ სხვა მაჰმადიანთ ქართველებში. ყანაში და კალოზე მუშაობას გარდა, ესენი ქსოვენ საჩოხე შალებს, ყაითნებს, ხელთათმანებს; აკეთებენ ფერად ძაფებს, თოკებს და სხვ. ქალებმა სხვა-და-სხვა ხილის გახმობაც იციან: მაგალითად აკეთებენ ვაშლის და მსხლის ჩირს, კერკს, ტყლაპს. მართალია ამაების კეთება დიდს შნოსა და ოსტატობას არა თხოულობს, მაგრამ ჩვენ ეს აქ მიტომ აღვნიშნეთ, რადგანაც ამაების კეთება სხვა აქაურ ქართველ მაჰმადიანთ სულ არ იციან და არცა აქვთ გაგონილი, რომ ხილის გაშრობ-გახმობა შესაძლებელია. რამდენ ალაგას მთელი ტყეებია ხილისა და ეს ხილი ტყეში უპრალოდ ფუჭდება.

რაც ამ ხილის მეოხებით აქეთ ღორი და დათვი მრავლობს, არა მგონია, საქართველოს სხვა რომელსამე კუთხეში იყოს. ამას წინად ერთ დიდს ტყეში ხუთი ღორი მოჰკლეს ქართველ მაჰმადიანებმა, ოთხი ჭორომში ჩააგდეს და ერთი აჭარის წყალში. ყველა ესენი, რასაკვირველია, შავი ზღვის ზვირთებს მიეცემოდა. ქართველ მაჰმადიანებს ღორები საშინლადა სძულთ. ასეთი სიმძულვარე ღორისა თვით ნამდვილს თათრებსაც არ ემჩნევა. ჯაგარს მაინც აცლიდნენ! მერე ისეთი ჯაგარი აქვს აქაურ ღორს, რომ ერთი-ორად მეტ ფასად გაიყიდება, ვინემ სხვა-და-სხვა მხრის ღორის ჯაგრები. ამის შესახებ მე აქეთ ბევრს ველაპარაკე, გავაგებინე, თუ ჯაგარი რისთვის არის საჭირო და ან რა ფასს აძლევენ, მაგრამ მათ უარი სთქვეს.

— ღორის ჯაგარს რას ახმარებენ, ეგ ჩვენ არ ვიცით. ჩვენში აქა-იქ ღორები დახოცეს, ჯაგარს გლეჯა დაუწყეს; ეს ამბები ჩვენმა მოლებმა შეიტყეს, ისინი მივიდნენ, ჯაგარი გადააყრევინეს და ხალხს გამოუცხადეს, რომ ვინც ღორს ხელს დაადებს, ის თავის წმიდა სჯულსა და ტანს წაამურტალებს; იმან რაც უნდა დაიბანოს ხელი და ტანი, მაინც ღორის სიმურტალე არ მოშორდებაო. ღორის ნაწოლ ალაგზე ამათ რომ რამე ნახონ, მაგალითად, შიმშილის დროს პური, ან სხვა რამე, ამის აღებაც ცოდვად მიაჩნიათ. ამბობენ, რომ კინტრიშის მაჰმადიანები-კი შესჩვევიან არამც თუ ჯაგრის გლეჯას, არამედ თვით ღორების ყიდვასაც, მოკლავენ თუ არა, მაშინადვე ბათუმისკენ მიაქვთ და იქ ჰყიდიან. ხოჯებს ისიც ეჯავრებათ, რომ დახოცილ ღორებს მაჰმადიანები ჰყიდიან და ქრისტიანები ყიდულობენ. ხოჯები ამბობენ:

— მურტალ რამეში აღებული ფული ისევ მურტალი იქნებაო.

ზ. ქ.

(შემდეგი იქნება)

ზამთარში იმის საცოდაობას უყურონ. იქმნება უჭმელობის გამო დაეხოცოს კიდეც.

მადლობა ღმერთს, ამას ფიცი არ სჭირია, ყველა თვალით ჰხედავს, რა საცოდაობა მოელით აქაურ მცხოვრებთ მოუსავლობის გამო. ამიტომ აუცილებლად საჭიროა მათთვის ვინმემ იზრუნოს თავის დროზედ და აღმოუჩინოს ენერგიული შემწეობა, რომ, რადგან კახაბერში და ბათუმის ახლო-მახლოში კარგს მოსავალს მოელოდნენ, იქიდგან ჭირნახული არ გაზიდონ ოსმალოში და ამით აქაურ ხალხს ჭირნახული არ გაუწყვიტონ. თუ თავის დროზე იქმნა შესაფერი ღონისძიება მიღებული, მაშინ აქაურ მცხოვრებთ ეყოფათ, იქ რომ სიმინდი მოვა, და მამასისხლად შორს სადმე არ დასჭირდებათ სყიდვა. ამისთანა ღონისძიების მიღება ამ თავითვე იმიტომ არის საჭირო, რომ, ამბობენ, ოსმალეთშიაც ძალიან დაუზიანებია ჭირნახული გვალვას. თუ ეს ხმა გამართლდა, მაშინ თქვენი მტერი, აქაურ მაწანწალებს ვერ გადავურჩებით.

ი. ჯაიანი

წერილი რედაქციის მიმართ

გავლილ აგვისტოს 29-ს „ივერიის" № 185-ში დაბეჭდილი იყო ჩემი წერილი, „მწყემსი"-ს რედაქციის მიმართ, იმის შესახებ, ვითომ „დროები"-ს რედაქციას მოეგროვებინოს 1881 წელს ორასი თუმანი, რუსთაველის ძეგლისათვის. ამასთანაც „მწყემსი" იმედოვნებდა, რომ, თუ თავ. მაჩაბლის ხელში გადავიდა ეს ზემოხსენებული ფული, ნამთავრით იქნება დანიშნულებისამებრ მომზადებულიო და, თუ არ გადასულა მაჩაბლის ხელში, მაშინ ყოველივე იმედი უნდა გადვიწმინდოთ მისი კვალის პოვნაზედა. ამ სიტყვებით „მწყემსის" რედაქცია იმას ამბობს, რომ, თუ განსვენებულ სერგეი მესხთან დარჩა, მაშინ ეს ფული დაკარგულიაო.

მე ეს ამბავი და „მწყემსის" აზრი არ მაკვირვებს, იმიტომ რომ, როგორც შოთა რუსთაველმა სთქვა: „კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების". ამავე № 185-ში დაბეჭდილმა ჩემმა წერილმა გამოიწვია მეორე წერილი „მწყემსის" № 17-ში დაბეჭდილი ბ-ნ ილია ჭყონიასი, რომელიც შეცდომით მომივიდაო, ამბობს, შოთა რუსთაველის ძეგლისათვის-კი არ მოგროვდა ფული 1881 წ., არამედ, 1880—1883 წ. განმავლობაში მოგროვილი იყო ექვსას მანეთამდე განსვენებულ ისტორიკოსის ბროსეს პრემიისათვის და ეს ფული გადაეცა გაზეთთან ერთად თავ. მაჩაბელსაო.

არა ბ-ნო ჭყონიავ, აგრე არ გახლავთ. თქვენ წაიკითხეთ „ივერიის" მოწინავე წერილი, რომელშიაც ამბობს ბ-ნი მეველე, რომ უცხოელმა კაცმა მოგვაგონა ჩვენი მოვალეობა შოთა რუსთაველის წინაშეო და იმის დასამტკიცებლად, რომ უცხოელმაკი არ ჩაჰყარა ძეგლის საძირკველი, არამედ ფულის მოგროვება ამ 12 წ. წინად დაიწყოვო

> „დროების" თაოსნობით (1881 წ.) და კიდეც შეიკრიბა მაშინ ამ ყოვლად სიმპატიურ საგნისთვის ორასიოდე თუმანი. შემწირველთა სიები წესიერად იბეჭდებოდა ხსენებულ გაზეთ „დროება"-ში. ი. ჭ.

ასე დაბეჯითებით წერა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ჯიბეში გექმნებათ საბუთები. და რაკი თქვენ არავითარი საბუთი არა გქონიათ, თქვენმა საქციელმა დაუსჯელად არ უნდა ჩაიაროს. დიდი სირცხვილი თქვენთვის, რომ იმისთანა კაცს, როგორიც განსვენებული სერგეი მესხი იყო, რომელმაც თოთხმეტის წლის განმავლობაში თავი ჩააკლა ქართულ ლიტერატურას და აქნობამდე ჩირქი არავისაგან არ მისცხებია, თქვენ ცილი დასწამეთ და ამბობთ: თუ ვინიცობაა განსვენებულ ს. მესხთან დარჩა ის ფული, რასაკვირველია, კვალსაც-კი ვერ უპოვითო.

ამისთანა საქციელი მხოლოდ თქვენისთანა ლიტერატორებს შეჰფერის, რომელთაც არ ესმით საზოგადო მოღვაწეობა და ვერ გაურჩევიათ თვისი და საზოგადო ფული.

იოსებ მელიქიშვილი

რუსეთი

მოსკოვის გუბერნიის გლეხს ნიკოლოოზ ნიჟეგოროდსკის განუცხადებია მეზღვაურთა შტაბისათვის, მე ვიპოვი დაღუპულ სამხედრო გემს „რუსალკასაო"; მე დახელოვნებული ვარ წყალში ყურყუმელაობაში და თავი ცოცხალი არ მინდა, თუ დაღუპული გემი ვერ ვიპოვნეო. მეზღვაურთა შტაბს დიდის ყურადღებით მოუსმენია ამ თავ-გამოდებულ გლეხის აზრი და დახმარებას დაჰპირებია პატრიოტულ სურვილის განსახორციელებლად.

—

18 დეკემბერს პეტერბურგში მოხდება პირველი კრება ხელ-საქმობისა და სახელოსნო საზოგადოების განყოფილებისა. ზემოხსენებულს საზოგადოებას საგნადა აქვს დაეხმაროს რუსეთის მრეწველობასა და ვაჭრობას. ამ საზოგადოების ზემოხსენებული განყოფილება, როგორც ხმა დადის, არ იკმარებს მხოლოდ წევრთა მოხსენებების განხილვას. განყოფილების თავმჯდომარის პროფესორის ა. ა. ისაევის წინადადებით, განზრახვა აქვთ, მოხსენებების განხილვის გარდა, გაჰმართონ საჯარო ლექციები ხელსაქმისა და სახელოსნო მრეწველობის შესახებ. ხელსაქმის განვითარებას შეუძლიანთ ხელი შეუწყონ არა მარტო იმათ, ვისაც უმაღლესი სატეხნიკო სასწავლებელი გაუთავებია, არამედ იმათაც, ვინც თავის თავად შეისწავლა რომელიმე საქმე და საზოგადოდ ყველა ის, ვისაც-კი კარგად ესმის ეს საქმე. აგერ ხუთი წელიწადია, რაც ზემოხსენებულ საზოგადოების სახელსაქმო და სახელოსნო განყოფილება არსებობს და ამ ხნის განმავლობაში ნათლად დამტკიცდა, რომ თუმცა განყოფილების კრებებს ესწრობოდნენ საქმის მცოდნე კაცები და დიდის ყურადღებით ისმენდნენ მოხსენებებს, მაგრამ კამათობაში-კი მონაწილეობას არ იღებდნენ. ამ გარემოების მიზეზი ჯერ ის არის, რომ ეს მოხსენებანი შეეხებოდა უფრო მრეწველობის თეორიას, ვიდრე თვით საქმეს და მეორეც ისა, რომ ეს საქმის მცოდნე კაცები მორცხვობით არ ერეოდნენ კამათობაში. რადგანაც ფრიად სასარგებლოა, რომ ზემოხსენებულ განყოფილებას საქმის მცოდნე კაცები დაეხმარნენ თავის გამოცდილებით, ამიტომ 18 ოქტომბერს დანიშნულია კრება განყოფილებისა, რომელმაც უნდა განიხილოს საქმე სახელსაქმო მუზეების დაარსებისა. მერე უნდა განიხილონ შემდეგი საგნები: რა მნიშვნელობა აქვთ ხელსაქმის განვითარებისთვის ჩარჩებსა; რა გავლენა აქვს მეურნეობის განვითარებას ხელსაქმის განვითარებაზედ; საჭიროა თუ არა, რომ ზედამხედველნი იქმნენ დანიშნულნი ყმაწვილების შრომისა ხელსაქმეში; რა მნიშვნელობა აქვს ხელსაქმეს სახელმწიფო და საეროზო გარდასახადის საქმეში; ხელსაქმობისა და სახელოსნო სკოლების დაარსების შესახებ და სხვ.

უცხოეთი

საფრანგეთი. გერმანიის, ავსტრიისა და იტალიის გაზეთებმა გაავრცელეს ხმა, ვითომც საფრანგეთის ალლუმზედ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი შეურაცხჰყვეს ყვირილით: „დაემხოს სამთა კავშირი, გაუმარჯოს რუსეთს!" ეს ხმები ტყუილი გამოდგა, ხოლო საფრანგეთის გაზეთებს ამისთანა მოგონილ ამბების გავრცელება საწყენად დარჩა. Figaro ამბობს:

«იმედია, საფრანგეთის მთავრობა გამოაჩენს, ვინ არის პარიჟში ცრუ ამბების მომგონი და გამავრცელებელი. იმედია, მთავრობა თვალ-ყურს ადევნებს agents provocateurs, რომლებიც უეჭველია მომავალ დღესასწაულების დროს პარიჟში გამოცხადდებიან. ცნობილია, ვინ დაიწყო ყვირილი რომსა და გენუაში: «დაემხოს საფრანგეთი!»-ო მთავრობამ უნდა ღონისძიება მიიღოს, რომ იმ ნაირი ღრიალი პარიჟის ქუჩებშიაც არ მორთონ. ამისთანა ვაჟბატონები მწერლობამ უნდა დაუსახელოს პარიჟელთ და პოლიციამ განდევნოს, რომ მომავალი დღესასწაული არ გაგვიმწარონ.

—

ინგლისი. გლადსტონმა სიტყვა წარმოსთქვა ედინბურგში დიდ საზოგადოების წინაშე. ჯერ დაიწყო ლაპარაკი იმ რეფორმებზედ, რომელიც მთავრობამ უნდა მოახდინოს, ხოლო პარლამენტის წარსულ სესსიაზედ ვერ მიასწრო: ირლანდიის ბილლი, რკინის გზის მოხელეთათვის სამუშაო დროს შემცირება, განცალკევება სახელმწიფოსი და ეკკლესიისა შოტლანდიასა და ვალისში დ მუშათა საქმე. შემდეგ გლადსტონი შეეხო ლორდთა პალატას, რამდენად ზრუნავს იგი ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის. 1884 წელს ჩემბერლენმა სთქვაო, რომ „ლორდთა პალატამ ასის წლის განმავლობაში სრულიად არა გააკეთა-რა ხალხის კეთილ-დღეობისათვის; ბოროტ-მოქმედებასა და სხვა-და-სხვა პრივილეგიებს-კი ხელს უწყობდა; ემებოდა სიმართლეს და წინ ეღობებოდა რეფორმებს".

თუმცა ჩემბერლენს ცოტა მეტი მოუვიდა, მაგრამ ლიბერალთა უმეტესობა იმის აზრს ეთანხმებაო,— სთქვა გლადსტონმა და განაგრძო:

„პარლამენტის ისტორიას რომ თვალი გადავავლოთ ამ უკანასკნელს წელში, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ არც ერთხელ ლორდებს არ გაუმარჯვნიათ ომში საზოგადოებასთან. რაც შეეხება ჰომრულს, ამბობენ იმიტომ შეწყნარებულ იქმნა პარლამენტის-მიერ, რომ ირლანდიის დეპუტატებმაც მიიღეს კენჭის ყრაში მონაწილეობაო. თუ კონსტიტუციის თვალით გავარჩევთ, შეერთებულ სამეფოში მხოლოდ ერთი პარლამენტია, მასში მხოლოდ ერთი უმრავლესობა და ამ უმრავლესობამ მოიწონა ჰომრული. ზემო პალატის აზრს სრულიადაც არა აქვს ის ძალა, რაც ქვემო პალატის აზრსა აქვს მინიჭებული, იმიტომ რომ პირველი არავის წარმომადგენელი არ არის და არც პასუხის-მგებელია; მეორე—ხალხის აზრის წარმომადგენელია და მოპასუხე ამომრჩეველთა წინაშე. ამბობენ, ვითომც ბილლი კარგად ვერ შევიმუშავეთ და ქვემო პალატამ კარგად ვერ განსჯაო, ვითომც აჩქარებით მიგვეღოს. ეს ლაპარაკი უსაფუძვლოა. ქვემო პალატამ ბილლს 82 დღე მოანდომა. რა ნება აქვს ლორდთა პალატას, რომელმაც ბილლს ოთხ დღეში მოუღო ბოლო, მასწავლებლად დასახოს თვისი თავი და შეგირდებსავით დარიგება გვაძლიოს. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ქვემო პალატის მოსპობაც განიზრახეს. ეს ხომ ხალხის უფლების მოსპობის სურვილია. 500 პერის უთანხმოება ვერ გასტეხს ხალხის სურვილსა და ძალას, ხოლო თვის წინააღმდეგობით ხელ-ახლა აღძრავენ კითხვას, საჭიროა ზემო პალატის არსებობა, თუ უნდა გაუქმდეს? მე ვიტყვი დღევანდელ Daily News-თან ერთად: „უკეთუ რომელიმე პალატა უნდა მოისპოს, უეჭველია ეს ქვემო პალატა არ იქმნება".

—

იტალია. Mémorial Diplomatique სწერს: „ეს რამდენიმე კვირაა, რაც იტალიის ჯარსა და ფლოტს დიდი მოძრაობა და ზრუნვა ეტყობა. უკანასკნელ დღეებში სამხედრო მინისტრის ბრძანებით, კუნძულს მადლენზე გაგზავნილ იქმნა ძლიერ ბევრი საომარი მასალა.

რადგანაც ამ მასალის გადასატანად არ ეყოთ სამხედრო გემები, ამიტომ კერძო საზოგადოების გემებით ისარგებლეს. უკანასკნელ გემით კუნძულ მადლენზე მიუტანიათ 79,000 სროლა ტყვია-წამალი. გარდა ამისა, სამხედრო მინისტრმა გენერალმა პელუმ ბძანება გამოსცა, სამხედრო სამსახურში დიდის ხნის შესულნი კაცნი არ იქმნენ დათხოვნილნი, ვიდრე ამ საქმის შესახებ ცალკე განკარგულება არ გამოცხადდებაო".

თეატრის მატიანე

გუშინ წინ, 29 სექტემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ოთხ-მოქმედებიანი დრამა „ბედს ვერ წაუხვალ", გადმოკეთებული მ. ნასიძის მიერ. წარმოდგენას ხალხი მეტად ნაკლები დაესწრო. რაც შეეხება თვით წარმოდგენას, ძლიერ სუსტად ჩაიარა. ან როგორ ეთამაშნათ არტისტებს, როცა თეატრის დარბაზში სულ ათიოდ კაცი იყო და იმათაც, გვგონია, თავის თავისა ერიდებოდათ, აქ რათა ვართო. თვით პიესას ეტყობოდა, რომ არტისტებს ძლიერ შეემოკლებინათ, უეჭველია იმ განზრახვით, რომ რომელიმე მათგანი სრულად ვერ ითამაშებდა თავის როლსა და ვერ დასძლევდა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ არტისტებმა როლებიც კარგად არ იცოდნენ და მწყობრად ვერა თამაშობდნენ და ადვილად მიხვდებით, რომ თუმცა წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო, მაგრამ ვინც იყო, ისიცკი უკმაყოფილო დარჩა პიესისა. თვით პიესაზედ მხოლოდ ამას ვიტყვით: ჩვენ გვგონია, რომ პიესა ორიგინალში, ე. ი. რუსულ ენაზედ ურიგო არ უნდა იყოს, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ძნელად თუ გადაკეთებულ პიესას ყველა ის ღირსებანი შერჩეს, რომელიც ორგინალსა აქვს. ამას ისიც დაუმატეთ, რომ როცა თეატრში ძლიერ ნაკლებად არის საზოგადოება, როცა არტისტებ შორის არც როლებია რიგიანად განაწილებული, არტისტებმა არც როლები იციან რიგიანად და თეატრის სიცალიერის გამო არც გული და ხალისი აქვს თამაშობისა, ეჭვი არ არის, პიესა ვერ მოახდენს კარგს შთაბეჭდილებას. ჯერ მ. ნასიძემ გადმოაკეთა ზემოხსენებული პიესა და შემდეგ, გვგონია, არტისტებმაც ისე გადააკეთეს და შეამოკლეს იგი, როგორც თითონა სურდათ, გვგონია იმიტომ, რომ თვითონვე ჰგრძნობდნენ, ზოგი ჩვენთაგანი ვერ დასძლევს თავის როლსაო.

დასასრულ წარმოადგინეს ვოდევილი „არც აქეთ, არც იქით". თუმცა ეს ვოდევილი უკვე ბევრჯერ წარმოუდგენიათ, მაგრამ საზოგადოება მაინც ძლიერ ნასიამოვნები დარჩა ვ. აბაშიძის იმ მშვენიერის და რეალიზმით სავსე თამაშობით, რომელიც ამტკიცებს ნამდვილ ნიჭსა და უნარს არტისტისას.

—

ოთხშაბათს ფორკატტის საოპერო დასმა წარმოადგინა ხუთ-მოქმედებიანი ოპერა „ფაუსტი"—გუნოსი. საზოგადოება, როგორც წინა წარმოდგენაზე, ბლომად შეიკრიბა თეატრის დარბაზში, უფრო სომხობა იყო, რადგან მარგარიტას როლს თამაშობდა ქ-ნი პაპაიანი, ტომით სომეხი.

პაპაიანი მღეროდა იტალიურ ენაზედ, რადგან რუსული თუმცა იცის, მაგრამ მუსიკალური განათლება იტალიაში აქვს მიღებული და ჯერ-ჯერობით ეძნელება მღერა რუსულად.

ქ-ნს პაპაიანს ხმა კარგი აქვს, კარგადაც შეასრულა როლი, მაგრამ მის მღერას და თამაშობას აკლია გრძნობა, ურომლისოდაც ძნელად თუ გაიტაცებს მსმენელ საზოგადოებას.

როგორც ფაუსტის როლის ამსრულებელს (ბ. დეფიკლერი) აგრედვე ქ-ნ პაპაიანს ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ არც ერთს შესაფერი სასცენო სახე არა აქვს. ოპერა ისე გათავდა, რომ მხოლოდ სამჯერ გაისმა ტაშის ცემა და მესამე მოქმედებაში შალაპინს (მეფისტოფელი) გაამეორებინეს სიმღერა. ურიგოდ არ იმღერა ბ-ნმა ავნიეცევმა „ღმერთო ძლიერო".

ტფილისის საზოგადოება მეტის მეტად გასათუთებულია და სახელოვან მომღერლების მოსმენას დაჩვეული. სწორედ ამით აიხსნება, რომ ამ წარმოდგენაზედ იგი თავ-დაჭერილი იყო.

უცხოეთის წვრილი ამბავი

ახალი მოდა პარიჟში. ქალების კაბები ეხლა კაცების ტანთსაცმელს ემსგავსება. სექტემბრის განმავლობაში სენის პრეფექტურამ 750 ქალს მისცა მონადირეთა ბილეთი და მკერვალნი ამზადე-

ზენ კიდეც ამ ქალებისათვის სანადირო გაზებს.

**

როგორ სცხოვრობენ ამერიკელნი: ამერიკელი ერთი სოციოლოგი ამტკიცებს, რომ ამერიკელები უფრო მდიდრულად სცხოვრობენ, ვიდრე ევროპიელნი. ამერიკელი სამჯერ მეტსა სჭამს ხორცს, ვიდრე საფრანგეთისა და გერმანიის მცხოვრები და 50% მეტს, ვიდრე ინგლისელი. ამერიკელი იღებს $^2/_3$ მეტს სამუშაო ფასს, ვიდრე ევროპიელი.

**

აბისინიის კორესპონდენტს გაზეთ Temps-ისას დაუბეჭდია ფრიად საყურადღებო ცნობები ქორწინების შესახებ აბისინიაში. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ აბისინიაში მხოლოდ სასულიერო წოდების კაცთ სწერენ ჯვარსა ეკკლესიაში და მხოლოდ მათი ქორწინება ითვლება დაურღვეველად. ხოლო სხვა წოდების კაცთათვის ეკკლესიაში ჯვარის წერა არ არის საჭირო. საკმარისია მხოლოდ ეგრედ-წოდებული სამოქალაქო ქორწინება. ძლიერ გავრცელებულია კიდევ შემდეგი ქორწინება: საკმარისია კაცმა წვეულება გაჰმართოს, სტუმრები დაჰპატიჟოს, გააცნოს ის ქალი, რომელიც მოსწონს და საჯაროდ გამოაცხადოს: „აი ჩემი მეუღლეო“—და ქორწინება კანონიერად ჩაითვლება.

თუ ასე ადვილია ქორწინება აბისინიაში, არც ცოლ-ქმართა გაყრაა ძნელი. ცოლქმარნი დაშორდებიან ერთმანეთს და მორჩა და გათავდა. თუ შვილები ჰყავთ, ძლიერ ადვილად გაიყოფენ: თუ შვილები ძლიერ პატარები არიან, დედას მიჰყავს და მამა მოვალეა გადიხადოს ნახევარი ხარჯი მათის შენახვისა, თუ შვილები მოზრდილნი არიან, ჰკითხავენ, ვის გინდა გაჰყვეო, დედას თუ მამასაო. ძლიერ იშვიათად მოხდება, რომ ამ გვარ საქმეში ცოლქმარნი სასამართლოს მიჰმართონ ხოლმე. ერთის სიტყვით ამ მხრივ აბისინიის მცხოვრებნი ძლიერ ბედნიერნი ყოფილან.

**

Gil Blas-ის ერთი თანამშრომელი მივიდა გამოჩენილ არტისტ-ქალის სარა ბერნარის სანახავად. სარა ბერნარი ახლა დაბრუნდა სამხრეთ-ამერიკიდგან, სადაც სამი წელიწადი დაჰყო.

სარა ბერნარს აუღია თეატრი Renaissance და დირექტორად იქმნება.

კორესპონდენტი ამბობს:

მე მივედი იმ სახლში, სადაც სარა ბერნარი სცხოვრობს, ბულვარ პერეირეზე.

ვუცდი სახლში, რომელიც მუზეუმსა ჰგავს. სურათები, ქანდაკებანი, იარაღი, წიგნები და სხვა-და-სხვა ნივთები აქა-იქ ხელოვნურად იყო ერთმანერთში გადარეული.

მე დავუწყე სინჯვა სარა ბერნარის მრავალ სურათებს. ზარის წკარუნი მოისმა. მეორე ჟურნალისტი შემოვიდა სწორედ იმავე აზრით, რომელმაც მე მომიყვანა.

გავიდა რამდენიმე წუთი. კიდევ წკარუნი, კიდევ ჟურნალისტი.

თხუთმეტ წუთში ექვსნი შევგროვდით. ყველანი სკამებზე ჩამოვსწკრივდით.

ბოლოს გამოჩნდა სარა ბერნარი არშიით მორთულ სათეატრო კაბით.

— ბატონებო—გვითხრა—მე დიდად ბედნიერი ვიქნებოდი, რომ შემეძლოს ყველა თქვენის ცალკე მიღება, მაგრამ ცოტა შეუძლოდა ვარ; თუ ნებას მომცემთ, ყველას ერთად მოგელაპარაკებით.

ჩამოჯდა ტახტზედ, რომელზედაც მრავალი ბალიში ეწყო და დაგვიწყო თავის მოგზაურობაზე ლაპარაკი

ჩემი მოგზაურობა დიდხანს გაგრძელდა, ხოლო მე მოწყენით არ ვიყავი. ყველა თეატრში, სადაც-კი მე ვითამაშე, დიდის აღტაცებით მიმიღეს მეც და ჩემი დასიც. რომ იცოდეთ, რა შემოსავალი ჰქონდა იმ თეატრებს, სადაც მე ვთამაშობდი! გეტყვით თეატრის Phédre-ს ოთხის წარმოდგენის ამბავს: შემოსავალი იყო ორმოცი, ორმოც-და-ათი, სამოცი და სამოც-და-თორმეტი ათასი ფრანკი. ადგილების ფასი მეტად ბევრია, თეატრები ძალიან დიდია. როდესაც მე ამერიკიდგან საფრანგეთს დავბრუნდები ხოლმე და აქაურ თეატრის სცენაზედ გამოვდივარ, მგონია, რომ აი, ხელს მოვასხვედრებ მაყურებელს-მეთქი.

უკანასკნელი მოგზაურობა—მე აღარ ვაპირობ ამერიკაში წასვლას—მშვიდობიანი იყო, ორი შემთხვევა რომ არად ჩავთვალოთ: რიო-ჟანეიროში ჩემი მოკვლა განიზრახეს და მომპარეს ძვირფასი ნივთები. ეს ამბავი ევროპის გაზეთებში იყო დაბეჭდილი. მოპარული ნივთები ღირდა 250,000 მან.

სარა ბერნარი დაწვრილებით გვიამბობს ამ ორ შემთხვევას, მე-კი ამ დროს ყურადღებით ვისმენ იმას ტკბილ ხმას და თან ვსინჯავ თავით-ფეხამდე.

ის ისე ლაპარაკობს, როგორც სცენაზედ. სამის წლის განმავლობაში სრულიად არ გამოცვლილა: სახის გამომეტყველება ისევე ძლიერია, თვალები წინანდებურად უელვარებს.

მე ისე გარდავსწყვიტე, რომ Renaissance-ში წარმოდგენები ოქტომბრის გასულს დავიწყოთ. ჩემმა მეგობარმა ბ-ნმა გრომ თეატრი დამითმო და, როგორც მინდა, ისე ვაწარმოებ საქმეს. ჩვენ დავიწყებთ ჟულ ლემეტრის Les Rois-ს წარმოდგენით. შემდეგ ვითამაშებთ Pihlippe II-პორტორიშისა.

— ამბობენ, სცენის მოწყობილობა უნდა შესცვალოთო.

— დიაღ, სუფლერი მინდა კულისებში გადავიყვანო, როგორც ამერიკის, გერმანიისა და ინგლისის თეატრებშია. სუფლერის ფარდული აუშნოვებს სცენას და ძალიან იზიდავს არტისტს, რომელმაც როლი არ იცის; მთლად წარმოდგენას ლაზათს უკარგავს.

მაგას გარდა ფასებიც მინდა დავწიო. უსამართლოა გადაჭარბებული ფასი მოვთხოვო მაყურებელს, რომელიც ფარდის აწევამდე სრულს შემოსავალს იძლევა.

ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა, რითი გათავდა მოლაპარაკება თეატრის Comédie-française შესახებაო. სარა ბერნარმა უპასუხა:

Comédie-française? მე იქ ერთხელ ვიყავი და ისიცა კმარა.

როდესაც სარა ბერნარს ვეთხოვებოდი, რამდენჯერმე გავიგონე ზარის წკარუნი. რეპორტერების თავს დასხმაა სწორედ. საწყალი არტისტი!

◆◆

გამოსადეგი ცნობანი

როგორ უნდა შეიტყოთ, ხეს გული საღი აქვს თუ არა? ზოგჯერ ხე გარედგან საღი სჩანს და გული-კი დამპალი აქვს. ამისათვის აიღეთ ქინძისთავი და ხეს თავში დაჰკრათ. მეორემ ბოლოს მიადოს ყური. თუ ხმა ისმის, ხე საღი ყოფილა და თუ არ ისმის, უეჭველად გაფუჭებული აქვს გული.

◆◆

დეპეშა

29 სექტემბერი

პეტერბურგი. ომში დაჭრილთა ალექსანდრეს კომიტეტი აცხადებს, რომ დაღუპულ სამხედრო გემის „რუსალკის“ ნავოსანთა ოჯახთ შეუძლიანთ მიჰმართონ კომიტეტებს და სთხოვონ მფარველობა გაუწიონ.

Гражданинъ იუწყება, რომ შუა-ციმბირის რკინის გზის ლიანდაგს ამზადებენ.

პეტერბურგის ბირჟა, 21 სექტ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	$7._{62}$	$7,_{66}$	— ,,
ტამოჟნის კუპონები	$152^1/_4$	153	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	— ,,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მოგების ბილეთი . . .	— ,,	— ,,	240
—მეორისა	— ,,	— ,,	217
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგ. ფურცელი . .	— ,,	— ,,	192
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	— ,,	$100^1/_2$	— ,,
5%	— ,,	100	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%.	— ,,	$100^1/_4$	— ,,
5%	— ,,	100	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	$97^3/_4$	— ,,	— ,,

განცხადებანი

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—106)

ქართველთა ამხანაგობისაგან.

„ქართველთა ამხანაგობის“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ „კრებულში“ დასაბეჭდად გამოგზავნილი მასალა გარდაეცა ჟურნალ „მოამბის“ რედაქციას. უმორჩილესად ვთხოვთ ყველას, ვისაც ჰსურდა თავის ნაწერები გარდაეცა „კრებულში“ დასაბეჭდად, გამოეგზავნოს ჟურნალ „მოამბის“ სახელზედ.

კავკასიის ადგილობრივ მსროლელთა რაზმის უფროსი ამით აცხადებს, რომ 25 **ოქტომბერს ქალაქ ოზურგეთში** მსროლელთა რაზმის კანცელარიაში დანიშნულია ვაჭრობა იჯარისგასაცემად. იჯარადარი მოვალე იქმნება 1894 წელს ზემოხსენებულ რაზმს ხორცი აძლიოს.

რაზმში 24 აფიცერია და 862 ჯარის კაცი. (3—977—1)

გამოსადეგი ცნობანი
პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—$10^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, $10^1/_2$—$11^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ф პროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

1894 წლის იანვრიდგან

გამოვა ყოველ თვიური ქართული ჟურნალი

„მოამბე“

შემდეგის პროგრამმით:

I სიტყვა-კაზმული მწერლობა ორიგინალი და ნათარგმნი რუსულიდან და უცხო ენებიდან: რომანები, მოთხრობები, ამბები, ლექსები, პოემები, დრამატიული თხზულებანი და სახალხო სიტყვიერების ნაწარმოები.
II ისტორია, გეოგრაფია, არქეოლოგია, ბიოგრაფია შესანიშნავის კაცებისა, საერო მეურნეობა, მართლ-მსაჯულება, შესანიშნავი სამკავრო პროცესები
III სასოფლო მეურნეობა: სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ სტატიები და კორესპონდენციები.
IV კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ქართულის, რუსულისა და უცხოეთის სალიტერატურო და სამეცნიერო თხზულებათა შესახებ.
V ქრონიკა: ახალი ამბები შინაურის და უცხო ქვეყნების ცხოვრებიდან.
VI ნარევი.
VII განცხადებანი.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

ერთის წლით—10 მან., ექვსის თვით—6 მ., სამის თვით—4 მ.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ:

აკაკი, ნ. ავალიშვილი, არაგვისპირელი (ფსევდონიმი), ი. ბაქრაძე, კ. ბაქრაძე, ბაჩანა (ფსევდონიმი), ეკ. გაბაშვილისა, ი. გოგებაშვილი, დონ-იაგო (ფსევდონიმი), დუტუ მეგრელი (ფსევდონიმი), დიმ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა (ფსევდონიმი), გრ. ვოლსკი, თავისუფალი სვანი (ფსევდონიმი), ექ. თაყაიშვილი, გ. იოსელიანი, დ. კარიჭაშვილი, კირ. ლორთქიფანიძე, გ. მაიაშვილი (ფსევდონიმი), პროფესორი ნ. მარრი, სოფ. მგალობლიშვილი, მეველე (ფსევდონიმი), მელანია (ფსევდონიმი), პროფესორი პ. მელიქიშვილი, ი. მესხი, ნ. მთვარელიშვილი, შ. მღვიმელი (ფსევდონიმი), ა. ნანეიშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ე. ნინოშვილი (ფსევდონიმი). ნინო ორბელიანისა, თ. რაზიკაშვილი, გ. საძაგლიშვილი, პ. უმიკაშვილი, ნ. ურბნელი (ფსევდონიმი), ი. ფერაძე, ა. ფრონელი (ფსევდონიმი), ან. ფურცელაძე, ს. ღოღობერიძე, მ. ყიფიანი, ს. ყიფიანი. გრ. ყიფშიძე, ი. ჩიქოვანი, ცახელი (ფსევდონიმი), ანას. წერეთლისა, გ. წერეთელი, ილ. ჭავჭავაძე, ა. ჭიჭინაძე, ა. ხახანაშვილი, მ. ხელთუფლიშვილი, ი. ხონელი (ფსევდონიმი), ნ. ხუდადოვი, ს. ხუნდაძე, ა. ჯაბადარი, ი. ჯაბადარი, მ. ჯანაშვილი და სხვანი.

ხელის მოწერა მიიღება თვით რედაქციაში, რომელსაც უნდა მიჰმართოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала „Моамбе“.

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული და ან შესწორებული იქმნება. ხელნაწერები, რომელიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში; მერე კი ველარ მოსთხოვენ რედაქციას. არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდის ნაშუადღევს.

რედაქცია იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, № 13. ადრესი ტელეგრამებისათვის: Тифлисъ, Редакція «Моамбе».

რედაქტორი
ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი
ნიკოლოზ ღოღობერიძე

Доз. ценз. Тифлисъ, 30-го Сентября 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე

50.0
219
300
175